**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# ივანე ქვაციხისელი

ივანე ქვაციხისელი, ფოლკლორის პერსონაჟი დაღუპული მონადირის ციკლის თქმულება „ივანე ქვაციხისელის" მთავარი გმირი.

ფოლკლორული ვარიანტების მიხედვით საფერხულო ტიპის სიმღერებში გადმოცემულია მონადირე ი. ქ-ის ტრაგიკული ამბები. ჯიხვების კვალს გადევნებულ ივანეს თოვლისგან გაუკეთებია საფეხურები კლდეზე ასასვლელად. დაბრუნებისას კი ვეღარ უპოვია. საბოლოოდ იგი დაიმტვრა. ქვას რ-იც მას გადმოჰყვა ქვაციხე უწოდეს მონადირეს კი – ქვაციხისელი. ი. ქ-ის სახეს შერჩენილი აქვს უძველესი რწმენა-წარმოდგენების შემცველი პლასტები.

*ლიტ.*: ვ ი რ ს ა ლ ა ძ ე ელ., ქართული სამონადირეო ეპოსი თბ., 1964; ღ ლ ო ნ ტ ი ალ., ქართული ხალხური ნოველა თბ., 1989; ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი რ., უძველეს რწმენა-წარმოდგენათა კვალი ხალხურ ზღაპრულ ეპოსში თბ., 2004; В и р с а л а д з е Е. Б., Грузинский охотничий миф и поэзия, М., 1976.

***თ. დოლიძე***